სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს“

ასლი - ქ.თბილისის მერს, ბ-ნ კახი კალაძეს

ასლი - ქ.თბილისის საკრებულოს

ქ.თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N 112-ში მცხოვრების/ბინის მესაკუთრის ამირან დათიაშვილის

საკონტრაქტო ტელეფონი 599483022

განცხადება

როგორც არაერთხელ გაცნობეთ (მათ შორის 2019 წლის 11 ნოემბერს), ქ.თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N 112-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის (ს/კ 01.14.11.023.015) მეზობლად/მომიჯნავედ - ფალიაშვილის ქუჩა #114-116-ში იგეგმება მრავალბინიანი სახლის მშენებლობა. აღნიშნულთან დაკავშირებით სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში“ მიმდინარეობს შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება, რომლის მიზანს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2009 წლის #57 დადგენილებით (მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ) (შემდგომში „დადგენილება“) განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის გაცემა (III სტადია), რომელიც დადგენილების თანახმად დასრულდება რამდენიმე ერთეულ სამუშაო დღეში.

როგორც გაცნობეთ, აღნიშნულ საქმეზე არ არის წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოხდა ასაშენებელი ობიექტის მომიჯნავედ არსებული შენობა-ნაგებობების ზემოქმედების შეფასება, რომლის მომიჯნავედაც დაგეგმილია მშენებლობა (იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილმა სამშენებლო სამუშაოებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ მდგრადობაზე, მაშინ უნდა მოხდეს ამ შენობა-ნაგებობის მდგრადობის გამოკვლევა). აღნიშნული გარემოება დადგენილების თანახმად წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის ერთ-ერთ არსებით წინაპირობას.

2019 წლის 13 ნოემბერს შეხვედრა შედგა ჩემსა და მშენებლობის ნებართვის მაძიებლის - შპს „დომუსი“-ს პარტნიორთან - თედო სვანიძესთან, თუმცა ვერც მან ვერ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ არსებობს. შესაბამისად, არ არსებობს მშენებლობის ნებართვის გაცემის სამართლებრივი საფუძვლები.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ჩემს მიერ 2019 წლის 11 ნოემბერს მოხდა შესაბამისი ექსპერტიზის დაკვეთა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსათვის“. დასკვნა მომზადდება 1 (ერთი) კალენდარული თვის განმავლობაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, შეაჩეროთ ქ.თბილისში ფალიაშვილის ქუჩა #114-116-ში არსებულ ობიექტზე მშენელობის ნებართვის გაცემის პროცესი, რადგან:

ა) დარღვეულია დადგენილების არსებითი მოთხოვნები (არ მოხდა სამშენებლო მოედნის მომიჯნავედ არსებული შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის დადგენა);

ბ) ადმინისტრაციული წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხელოვნურად ხდება აღნიშნული გარემოების უგულებელყოფა (კერძოდ იმ ფაქტის, რომ სამშენებლო მოედნის მომიჯნავედ არსებობს ძველი აშენებული სახლი, რომელიც ახალი მშენებლობის პირობებში შეუიარაღებელი თვალითაც დგინდება, რომ დაზიანდება);

გ) ჩემს მიერ, როგორც სამშენებლო მოედნის მომიჯნავედ არსებული უძრავი ნივთის მესაკუთრის მიერ, დაკვეთილ იქნა შესაბამისი ექსპერტიზა და უახლოეს პერიოდში წარმოდგინდეგთ აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელ დოკუმენტს (ამასთან, ის ექსპერტიზა, რაც ჩემს მიერ იქნა დაკვეთილი უნდა დაკვეთილიყო ნებართვის მაძიებლის მიერ საკუთარი რესურსით, ან ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ).

პატივისცემით,

ამირან დათიაშვილი

13 ნოემბერი, 2019 წ.